პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 296 (18838) სამშაბათი, 27 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელიც განიხილავს მოხსენებებს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და „სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

პლენუმის მონაწილენი დიდი ყურადღებით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ი. ვ. ანდროპოვის** გამოსვლის ტექსტს.

პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1983 წლის 26 დეკემბერს მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

პლენუმის მონაწილენი დიდი ყურადღებით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტს. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის დებულებებსა და დასკვნებს, აღნიშნეს, რომ მათ პრინციპული მნიშვნელობა აქვს და საფუძვლად უნდა დაედოს ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ყველა შრომითი კოლექტივის საქმიანობას.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტი პრესაში ქვეყნდება.

კამათში გამოვიდნენ: ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ლიაშკო — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ნ. სლიუნკოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჟ. მ. ბაგიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. პ. გრიუკიავიჩუსი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ნ. ზაიკოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ასკაროვი — ყაზახეთის კომპარტიის ჩიმკენტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. გორბაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ს. ა. აფანასიევი — მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრი, ა. ვ. ვლასოვი — სკკპ ჩაჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ა. გორშკოვი — სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადაიყვანა ამხანაგები ვ. ი. ვოროტნიკოვი და მ. ს. სოლომენცევი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხანაგი ვ. მ. ჩებრიკოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხანაგი ე. კ. ლიგაჩოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტი

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდად სამწუხაროდ, დროებითი მიზეზების გამო, ვერ ვახერხებ პლენუმის სხდომაზე დასწრებას. მაგრამ ყურადღებით გავეცანი ყველა მასალას, რომლებიც საფუძვლად დაედო მომავალი წლის გეგმას. ბევრი ვიფიქრე მათ გამო, ვეძებადებოდი გამოვსულიყავი და ჩამომეყალიბებინა ზოგიერთი მოსაზრება. ამიტომ ვუგზავნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებს ჩემი გამოსვლის ტექსტს.

როგორც მოგეხსენებათ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აზრთა გაზიარების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება თქვენს განსახილველად წარმოედგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მომზადებული 1984 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

საკითხები, რომლებიც პლენუმმა უნდა განიხილოს, ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობისაა. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სამეფისო ამოცანების დაყენებასთან ერთად ვფიქრობთ, თუ როგორ სრულდება XXVI კრების გადაწყვეტილებები, ვაჯამებთ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს, ანალიზებთ მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, რათა სამომავლოდ წორი დასკვნები გამოვიტანოთ.

მომდინარე წელს ქვეყანაში დაიწყო ჩვენი მეურნეობრიობის სრულყოფის, ორგანიზებულობის ამაღლების, სახელმწიფო, შრომისა და საგეგმო დისციპლინის განმტკიცების ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება.

ამან დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ შედარებით მოკლე დროში მთელ რიგ უბნებზე შევძელითო გამოგვესწორებინა საქმის ვითარება, გაგვეძლიერებინა კადრების ინიციატივა და პასუხისმგებლობა, მათი საკუთარი ძალების რწმენა, აგვემაღლებინა მასების შემოქმედებითი აქტიურობა. დასახულ კურსს სრული მოწონებით შეხვდნენ და მხარი დაუჭირეს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა.

ხალხმა უფრო კარგი გუნება-განწყობილებით დაიწყო მუშაობა. დაჩქარდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, რამდენადმე ამაღლდა ხარისხობრივი მაჩვენებლები. საერთოდ დაისახა დადებითი ძვრა სახალხო მეურნეობაში. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ სწორია შემუშავებული გეზი, რეალური და დასაბუთებულია პარტიის მიერ დასახული ეკონომიკის განვითარების, არსებულ სიძნელეთა დაძლევის ამოცანები.

როგორც ვხედავთ, შედეგები არის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. **ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია არ შევანელოთ ტემპი, არ დავაქვეითოთ საქმეებისათვის საერთო დადებითი განწყობა, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიტიური პროცესები.**

1984 წლის გეგმის დავალებათა ანალიზი მოწმობს, რომ მასში დასახული ტემპი და პროპორციები ძირითადად შეესაბამება ამ ამოცანებს, განამტკიცებს მიმდინარე წლის დადებითს ტენდენციებს. ვფიქრობ, ამხანაგები ამას დაეთანხმებიან. გეგმა წინანდელზე უფრო მეტად არის ორიენტირებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ, ძლიერდება მისი სოციალური მიმართულება. გათვალისწინებულია ყველაფერი, რათა სათანადო დონეზე გვქონდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ამრიგად, გეგმის პროექტი შეესაბამება პარტიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიას და, ვფიქრობ, პლენუმს შეუძლია მოიწონოს იგი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია დამტკიცებს გეგმას, იგი ეკონომიკის ყველა დარგის, ათასობით საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის სამეურნეო ცხოვრების კანონი გახდება. ამით განისაზღვრება საამქროების, უბნების, საწარმოო ბრიგადების, მილიონობით მშრომელის, ყველა იმათი შრომითი რიტმი, ვინც თავდადებული გარჯით ქმნის მატერიალურ ან სულიერ ღირებულებებს, განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.

აგრესიული იმპერიალისტური წრეების მიზეზით მკვეთრად გამწვავებული საერთაშორისო ვითარების პირობებში სახელმწიფო გეგმის განუხრელი შესრულება თითოეული საბჭოთა ადამიანის, თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის არა მარტო მოვალეობა, არამედ პატრიოტული ვალიც ხდება.

ფრიად საჭიროა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ავიღოთ კარგი სტარტი, განვაწყოთ მუშაობაში ძალების შემდგომი დაძაბვისათვის, სიძნელეების მიუხედავად, რომლებიც არცთუ ცოტა მოგველის.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მთელი ყურადღება მივაპყროთ უმწვავეს საკითხებს, ეგრეთ წოდებულ ვიწრო ადგილებს, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებული იქნება საქმის წარმატება.

ამხანაგებს მოეხსენებათ, რომ 1984 წლის გეგმა ადვილად როდი ყალიბდებოდა. იგი შეწონასწორებულია გარკვეული დაძაბვით. ამაზე, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად გავლენა მოახდინა ცნობილმა ხარვეზებმა სახალხო მეურნეობაში და თვით დაგეგმვის ხარისხმაც.

რა მიზეზებითაც უნდა ავხსნათ ეს, მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ გეგმის წარმატებული შესრულება. **და ამის უპირველესი პირობაა მთელი მუშაობის ზუსტი ორგანიზაცია ცენტრშიც და ადგილებზეც.**

როგორც ჩანს, უკვე პირველ ეტაპზე თითოეულ დარგში, თითოეულ შრომითს კოლექტივში კარგად უნდა იყვნენ გარკვეული თუ რა გზებით, საშუალებებითა და შეთოდებით მიიღწევენ პროექტში დასახულ ყველა სახეობის რესურსების, მასალების, შენაძენებისა და ენერგიის დაზოგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების დიდ დავალებებს.

საჭიროა კიდევ და კიდევ გულდასმით ავწონ-დაგწონოთ ყოველივე ეს და გეგმის რეალიზაციის დროს დღენიადაგ და ბეჯითად ვავლენდეთ დამატებითს რეზერვებს იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მუშაობა.

პარტიულად ამოცანა შეიძლება მხოლოდ ასე დავსახოთ: უნდა უზრუნველვყოთ გეგმის უთუო შესრულება, მაგრამ ამასთან გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა მისი გადაჭარბებისთვის. ამას უნდა ისახავდეს მიზნად მთელი სამეურნეო საქმიანობა, სოციალისტური შეჯიბრება, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, ადგილობრივი საბჭოების ეკონომიკური, ორგანიზაციული, იდეიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. უმთავრესი ის არის, რომ გეგმის შემუშავების შემდეგ, ვ. ი. ლენინის თქმით, „...შეგვეძლოს **მასების** როგორც **შეჯიბრების,** ისე **თვითმოქმედების** გამოწვევა იმისათვის, რომ ისინი ახლავე შეუდგნენ საქმეს“. (თხზ. ტ. 35. გვ. 494).

მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ დროს მიღებულია მთელი რიგი დოკუმენტები, რომელთა მიზანია შრომელთა ინიციატივის შემდგომი განვითარება. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ, დადგენილებანი დისციპლინის განმტკიცების, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის განვითარების შესახებ და სხვა.

იმის მიხედვით, თუ როგორ განხორციელდება პრაქტიკულად თითოეულ საწარმოსა და გაერთიანებაში პარტიის გადაწყვეტილებანი, უნდა ვიმსჯელოთ სამეურნეო ხელმძღვანელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უნარზე დარაზმონ ადამიანები, მიაღწიონ მუშაობის მაღალ საბოლოო შედეგებს.

ვეგმის პროექტის განხილვისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მხარი დაუჭირა წენადადებას, რომ დავუსახოთ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს და შრომითს კოლექტივებს კონკრეტული ამოცანა — **მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითს გადიდებას, ვთქვათ, 1 პროცენტით, და შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება დამატებით 0,5 პროცენტით. ეს უნდა მივიჩნიოთ დასახული გეგმის დამატებით პარტიულ დავალებად.**

ამხანაგებმა ვ. ვ. გრიშინმა, დ. ა. კუნაევმა, ვ. ვ. შჩერბიცკიმ, ვ. ი. ვოროტნიკოვმა და ე. ა. შევარდნაძემ თქვეს, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, საქართველოს, სხვა ქალაქების მოწინავე კოლექტივები მზად არიან გახდნენ ასეთი მოძრაობის ინიციატორები.

ეს ყველაზე მხურვალე მოწონებას იმსახურებს. ასეთ საფუძველზე ყველგან უნდა შეეიმუშაოთ და მივიღოთ ვალდებულებანი, გავხსნათ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ყველა ორგანიზაციის ეკონომიკ სპეციალური ანგარიშები და აქტიურად წავახალისოთ ისინი, ვინც საუკეთესო შედეგებს მიაღწევს.

1984 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმის შესრულებაში კარგი დამატებითი წვლილი შეიძლება გახდეს სახალხო ინიციატივის სხვა მრავალფეროვანი ფორმებიც.

ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში, მაგალითად, ფართოდ იყო გამლილი მოძრაობა მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის გაზრდისათვის. შემდგომში იგი გაუმართლებლად შენელდა. არადა, აქ ხომ წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდესი რეზერვებია.

მართლაც, რა სურათი შეიძლება დავინახოთ ახლა? ავიღოთ ქვეყანაში უდიდესი ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა. 1980-1982 წლებში ამ საწარმოში ჩარხების პარკი 9 პროცენტით შეივსო, ცვლიანობის კოეფიციენტი კი 1,5-დან 1,41-მდე შემცირდა. ამას შრომითი რესურსების ნაკლებობით ხსნიან, ამ დროს კი შესაშური დაჟინებით მოითხოვენ სულ უფრო მეტ მოწყობილობას და დიდად არ წუხან, თუ როგორ გამოიყენებენ მას.

მაგრამ არის სხვა მაგალითებიც. დნეპროპეტროვსკის კომბაინების ქარხანაში, რომელიც სხვათა შორის, იმავე სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ექვემდებარება, შემოიღეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის წესებთან შესაბამისობის მიხედვით სამუშაო ადგილების ატესტაციის სავალდებულო წესი. ამის შედეგად სამი წლის მანძილზე გაიზარდა პროდუქციის წარმოება, ამასთან შემცირდა დაახლოებით 600 სამუშაო ადგილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსაკუთრებული კაპიტალური დანახარჯების გარეშე მოინახა საკმაოდ დიდი შრომითი რესურსები თვით ქარხანაში.

უდავოა, რომ წარმოების ენერგიულ ავტომატიზაციასთან შეხამებით საქმისადმი სწორედ ასეთი მიდგომა შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდეს შესაძლებლობათა გამოვლინების საშუალებას ქმნის.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში პრაქტიკულად დავიწყებულია მოძრაობა პროდუქციის საპროექტო შრომატევადობის რაც შეიძლება სწრაფად მიღწევისათვის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ დარგებში ჯერჯერობით სათანადოდ არ ზრუნავენ შრომის დანახარჯების შემცირებისათვის. არადა, თუ გავიხსენებთ, ომამდელ წლებში აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა შრომატევადობის საპროექტო დონის მიღწევის დაჩქარებისათვის.

უნდა ავაღორძინოთ აგრეთვე მოძრაობა მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის გაზრდისა და საპროექტო შრომატევადობის მიღწევისათვის. და, რა თქმა უნდა, უ ახლო ორგანიზაციულ და ტექნიკურ საფუძველზე უნდა მოხდეს. ალბათ, საჭირო არ არის მტკიცებანი, რომ ამის შედეგად შეიძლება არსებითად გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება და შევამციროთ წარმოების დანახარჯები. სამინისტროები და უწყებები, მგეგმავი ორგანოები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ, თუ როგორ განახორციელონ ამასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

შემდეგი საკითხი. დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას **პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შესახებ.** ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეთმა ღონისძიებამ რამდენადმე გაუმჯობესა ვითარება სახალხო მეურნეობაში. მაგრამ ფაქტები მოწმობს იმასაც, რომ ეს პრინციპული პრობლემა ჯერ ბოლომდე არ არის გადაჭრილი.

ხელშეკრულებებისა და შეკვეთების შესრულებისათვის სამეურნეო ხელმძღვანელებს ახლა უფრო მკაცრად სთხოვენ პასუხს, ეს ასეა. მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არის „საძრომები“, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გასცენ პრემიები მიწოდების დავალებათა არასრული შესრულების დროსაც. საგეგმო ორგანოებმა დააკანონეს კიდეც სპეციალური ტერმინი: „შეუსრულებლობის ზღვრული პროცენტი“. მართალია, ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ ეს უდანაკლოობის მაჩვენებელი, — სხვაგვარად თქვა ვერ ვუწოდებთ, — ერთი-ორი პროცენტის და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში სამი პროცენტის ფარგლებს არ უნდა აღემატებოდეს.

მაგრამ აქოდა არსებითად ნებადართულია ხელშეკრულებების დარღვევა, ზოგიერთი ხელმძღვანელი ამ „უფლებას“ მთლიანად იყენებს. ვთქვათ, მანქანათმშენებლობის მთელმა რიგმა სამინისტროებმა მიმდინარე წელს საწარმოების ნახევრისათვის გამოიყენეს თითქმის ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის მაქსიმალური ზღვარი.

სავსებით გასაგებია, რომ მიწოდების დისციპლინა დამოკიდებულია არა მარტო საწარმოებზე, არამედ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების, ტრანსპორტის, მართვის ყველა იმ რგოლის მუშაობაზე, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდნენ საწარმოო პროცესის შეუფერხებლობას და რიტმულობას, და ამ პროცესის თითოეულმა მონაწილემ სახელშეკრულო ვალდებულებების დარღვევის დროს პასუხი უნდა აგოს თავისი ბრალის მიხედვით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უნდა განიხილოს ეს საკითხები, საბოლოოდ დაამუშაოს შესაბამისი წინადადებანი და დაამყაროს სათანადო წესრიგი.

უაღრესად სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ასეთი პრობლემაც. ჩვენმა საგეგმო ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ჯერჯერობით ვერ გამონახეს საჭირო გადაწყვეტანი იმისათვის, რომ **მთლიანად, მაღალი უკუგებით აამოქმედონ ქვეყნის არსებული საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი.**

ავიღოთ, მაგალითად, ბოლო წლებში ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში, აგრეთვე მანქანათმშენებლობაში შექმნილი უდიდესი სიმძლავრეები. ბევრ მათგანს დიდი ხანია ბოლომდე ვერ იყენებენ შიგადარგობრივი და დარგთაშორისი შეუთანხმებლობისა და დისპროპორციის გამო.

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ თითოეულმა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ უმოკლეს დროში შეიმუშაონ სპეციალური ღონისძიებანი ვიწრო ადგილებისა და დისპროპორციების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც აქვეითებენ საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას.

და, რა თქმა უნდა, ჩვენ ვალდებული ვართ ნიადაგ და ბეჯითად ვმუშაობდეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ამ გადამწყვეტი მიმართულებით ინდუსტრიის მრავალი დარგი ახლა უფრო სწრაფად და გულდაჯერებით მიიწევს წინ. კარგი სტიმული მოგვცა ნოემბრის პლენუმის შემდეგ მიღებულმა ახალმა გადაწყვეტილებებმა, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სტიმულირების მნიშვნელოვანმა ექსპერიმენტებმა.

მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა მთელი კომპლექსის ორგანიზაციის მოგვარებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. მთელ რიგ დარგებში ერთ ადგილს ტკეპნიან, არ ასრულებენ ახალი ტექნიკის გეგმებს, და ამ გეგმების მასშტაბურობაც გასაოცარია. სახალხო მეურნეობაში საქმის ვითარება მოითხოვს სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებების, მეცნიერებათა აკადემიების გადაჭრით შემობრუნებას წარმოების ტექნიკური დონის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისაკენ.

ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ დავრაზმავთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისთვის საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების კოლექტივებს, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეცნიერო კადრებს. ეს უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენ ვალდებული ვართ და შეგვიძლია კიდეც გადაგწყვეტოთ იგი.

ყოველწლიურად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების განხილვისას იძულებული ვართ შევეხოთ ხოლმე კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს. ეს გასაგებია. ქვეყნის კაპიტალური მშენებლობის მასშტაბი უზარმაზარია. მასთან პირდაპირ არის დაკავშირებული სამრეწველო წარმოების ზრდის, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მშრომელთა სანაცვლო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გეგმების რეალიზაცია.

სამწუხაროდ, საქმის ვითარება ამ უმნიშვნელოვანეს დარგში კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მთელი რიგი სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედება დროზე არ არის უზრუნველყოფილი.

სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად ვრცელ ახსნა-განმარტებებს მოჰყვებიან ხოლმე მუშაობაში ჩავარდნების გასამართლებლად, ეძებენ ობიექტურ მიზეზებს. მაგრამ საჭიროა არა ახსნა-განმარტება, არამედ მშენებლობაში საქმის რეალური გაუმჯობესება. არადა ამ დარგს ხომ უზარმაზარი სახალხო სახსრები მოხმარდა, შეიქმნა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, არსებობს კვალიფიციური საპროექტო ორგანიზაციები, მშენებლობები უკეთ არის აღჭურვილი ტექნიკით.

წარმატების გასაღები აქ, სხვათა შორის, ისევე როგორც ყველგან, მოვალეობის უმწიკვლო შესრულებისათვის, სიზუსტისა და ინიციატივისათვის, დასახული ამოცანების უთუო განხორციელებისათვის კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერება, მათდამი მაღალი მომთხოვნელობაა. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ ჩვენი სამშენებლო სამინისტროებისა და მათი კოლეგიების, ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას, ხელმძღვანელთა მუშაობას. განსაკუთრებით მკაცრად უნდა მოვკითხოთ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის.

სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს ტრანსპორტის მუშაობა. რა თქმა უნდა, ბოლო დროს აქ დადებითი ტენდენციები იგრძნობა, მაგრამ უნდა ითქვას, ტრანსპორტს მეტი რეზერვი და გამოუყენებელი შესაძლებლობები აქვს, რომელთა ამოქმედება მოკლე ვადებში შეიძლება.

უწინარეს ყოვლისა ეს ეხება არარაციონალური ტვირთზიდვის შემცირებას. როგორც ჩანს, საჭიროა ზედმიწევნით გავერკვეთ ამ საქმეში და შევიმუშაოთ საჭირო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია წარმოების განლაგებაში, სპეციალიზაციასა და კოოპერირებაში სათანადო წესრიგის დამყარება, მთელი ეკონომიკისათვის დამამძიმებელი ძრავალი შემხვედრი, უმაქნისი ტვირთზიდვის ლიკვიდაცია.

საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე მასშტაბი და ტემპი მოითხოვს დამოკიდებულების შეცვლას საკითხებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია **გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან.** ამ ამოცანას დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. საქმე ხომ არსებითად ეხება ადამიანთა ჯანმრთელობას და ქვეყნის ეროვნული სიმდიდრისადმი სათუო, ყაირათიან მიდგომას. უფრო მეტიც, ეს მომავლის საკითხებიცაა. მათ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია პირობები, რომელებშიც უნდა იცხოვრონ მომავალმა თაობებმა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმ სერიოზული მეცადინეობის მიუხედავად, რომელსაც ჩვენ ვეწევით, პრობლემების სიმწვავე არ იხსნება დღის წესრიგიდან.

ეს მოწმობს, რომ უფრო მტკიცედ და მიზანმიმართულად უნდა ვეწეოდეთ მუშაობას ბუნების დაცვისათვის. აქ, ალბათ, მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა სფეროში, შეუუწყარებელია უწყებრივი მიდგომა. იგი მკვეთრად ამცირებს კაპიტალდაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობას, ხელს უშლის ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ერთიანი პოლიტიკის გატარების, წარმოშობს უპასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებათა ეკოლოგიური შედეგებისათვის, იწვევს მოჩვენებითს მომჭირნეობას, რომელიც საბოლოო ანგარიშით დიდ დანაკარგებად იქცევა. ერთი სიტყვით, ამ პრობლემას უნდა მივუდგეთ კომპლექსურად, საერთო-სახელმწიფო პოზიციებიდან, გადაჭრით გავაუმჯობესოთ გარემოს მდგომარეობის მართვისა და კონტროლის მთელი სისტემა.

ამხანაგებო! **ეკონომიკაში მთელი ჩვენი მეცადინეობა სახალხო ანგარიშით მიზნად ისახავს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, ეს ჩვენი გეგმების მთავარი სოციალურ-პოლიტიკური მიზანია.** წარმოების განვითარებაში ყოველგვარი წარმატება ღირსეულად ფასდება მაშინ, როცა ისინი გავლენას ახდენენ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

ამ თვალსაზრისით ჩვენში ბევრი რამ კეთდება. ნიადაგ მატულობს მოსახლეობის რეალური შემოსავალი, ფართოდ მიმდინარეობს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა, წარმატებით ვითარდება განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და კულტურა. და 1984 წლის გეგმაში გათვალისწინებულია ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

ისევე როგორც წინათ, დიდ ყურადღებას მოითხოვს სასურსათო პროგრამის რეალიზაცია. წელს განხორციელებულმა ღონისძიებებმა რამდენადმე გაგვაუმჯობესებინა მთელი რიგი სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ბოლო ხნის მანძილზე პირველად შეინიშნება ძვრა ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა მეცხოველეობა. გაიზარდა რძის, ხორცის და კვერცხის შესყიდვა. განმტკიცდა საკვები ბაზა. ეს საშუალებას გვაძლევს მომავალ წელსაც შემდგომი უკეთესი ცვლილებების იმედი ვიქონიოთ. ამისათვის საჭიროა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, სოფლის მშრომელებმა უზრუნველყონ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრება, საგაზაფხულო თესვა, ერთი სიტყვით, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის წარმოების გადიდების გზაზე.

რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უპირველესი მოვალეობაა მტკიცედ გაზარდონ სოფლის მეურნეობაში შექმნილი პოტენციალის გამოყენება, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის გამოყოფილი რესურსების უკუგება, რათა უფრო სრულად გადაჭრან სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის მომარაგების პრობლემები.

კვლავ ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა საჭირო სამრეწველო საქონლით ბაზრის უხვად მომარაგება. მოსახლეობის მყიდველობითი უნარისა და სხვადასხვა საქონლით ხალხის უზრუნველყოფის დონის ზრდის პირობებში გადიდდა ნაწარმის ასორტიმენტისა და ხარისხისადმი მოთხოვნები. მაგრამ მრეწველობა უაღრესად ნელა გარდაიქმნება სახალხო მოხმარების თანამედროვე საქონლის გამოშვებისათვის.

1984 წელს გასაყიდ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაწარმის საბითუმო ბაზრობაზე სამომხმარებლო მოთხოვნილებისადმი ხარისხისა და ასორტიმენტის შეუსაბამობის გამო სავაჭრო ორგანიზაციებმა უარი თქვეს შეესყიდათ 500 ათასი ტელევიზორი, 115 ათასი რადიომიმღები, თქვენ ფიქრობ 250 ათასი ფოტოაპარატი, 1,5 მილიონი საათი, 160 ათასი მაცივარი და მთელი რიგი სხვა საქონელი.

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტი

(დასასრული)

განა შეიძლება შევიურიგდეთ იმას, რომ მაღაზიებში მრავალი ნაწარმის ნაკლებობის პირობებში ხარისხოვანი ნედლეული და მასალები გამოიყენება ამ პროდუქციის დასამზადებლად, რომელიც ვერ გასაღდება და გროვდება საწყობებში, შემდეგ კი უთუოდ ჩამოფასებას მოითხოვს.

ხდება ხოლმე ისეთი ფაქტებიც, როცა ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკთა მოუქნელობის, მოსახლეობის რეალური მოთხოვნილებების, ბაზრის კონიუნქტურის უცოდინრობის გამო ცალკეული საქონელი ხან დეფიციტური ხდება, ხან ხვავდება მაღაზიების დახლებზე და საწარმოებში. ეს იწვევს არა მარტო წარმოების გარდაქმნას, დანაკარგებს, არამედ ადამიანების უკმაყოფილებასაც.

საქონლზე მოსახლეობის მოთხოვნის არასრულ დაკმაყოფილებას თან სდევს ნეგატიური მოვლენები, მათ შორის სპეკულაცია. რა თქმა უნდა, ასეთ საზარელ მოვლენას კვლავ გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ სახელმწიფოს ხელთ არსებული მთელი საშუალებებით. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ნიადაგ ვზრდიდეთ საქონლის წარმოებას, ვაუმჯობესებდეთ მის ხარისხს, ინტენსიურად ვავითარებდეთ მომსახურების სფეროს, რათა სრულად აღმოიფხვრათ როგორც საქონლის, ისე მომსახურების დეფიციტი. ამისათვის პირადი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ ყველა რანგის ხელმძღვანელებს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ალბათ, დადგა დრო მარტო ხალხისათვის საქონლის წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებებზე კი არა, იმ კონკრეტულ მუშაკებზეც ვილაპარაკოთ, რომლებიც დგანან ამ ნაკლოვანებათა მიღმა. პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მუდმივი კონტროლი უნდა გაუწიონ ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საჭიროდ მიიჩნია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიან გეგმასა და შორეული პერსპექტივისათვის გათვალისწინებულ ძირითად მიმართულებებში შეიმუშაოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სისტემის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც მოიცავს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს.

რა თქმა უნდა, არ უნდა დავუცადოთ ამ მუშაობის დამთავრებას და დაუყოვნებლივ, ნაბიჯ-ნაბიჯ გადავწყვიტოთ წამოჭრილი საკითხები.

მიმდინარე ამოცანების განსაზღვრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სახალხო მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პრობლემები.

ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის, შრომითი კოლექტივების ინიციატივის შემდგომი გაზრდისათვის მუშაობის მეტი გააქტიურება გვმართებს.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მთელ რიგ სამინისტროებში იმ ეკონომიკური ექსპერიმენტის მოწყობას, რომლის მიზანია საწარმოთა უფლებების გაფართოება და მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება. ექსპერიმენტის პროცესში შემოწმდება მართვის ზოგიერთი ახალი ელემენტი. მათი შედეგები საფუძვლად დაედება მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით შესაბამის წინადადებათა მომზადებას. ამისათვის წინასწარ უნდა გემზადოთ სხვა დარგებშიც. მეთორმეტე ხუთწლედი ჩვენ უნდა დავიწყოთ კარგად გამართული სამეურნეო მექანიზმით, რომელიც შეაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ეკონომიკის შესაძლებლობანი.

უნდა ვთქვა, რომ ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა სახელმწიფო გეგმების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ჩვენს საგეგმო მექანიზმში დღესდღეობით მაინც მრავლად გვაქვს სუსტი ადგილები. ეკონომიკის განვითარების ზოგიერთ საკვანძო ამოცანას თითქოს არგებენო პირობებს, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონსა და დარგში იქმნება. საჭიროა თანამიმდევრულად დავძლიოთ ასეთი, შეიძლება ითქვას, პასიური მიდგომა დაგეგმვაში.

სახალხო მეურნეობის, მთავარი რგოლების განვითარების ყველაზე ეფექტიან მმართველობათა შერჩევა, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს სწრაფად დავძრათ წინ ქვეყნის ეკონომიკა ინტენსიური გზით, — ეს დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ერთ-ერთი მომწიფებული ამოცანაა.

ამასთან დაკავშირებით მინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება.

მართვისა და დაგეგმვის კონკრეტული ფორმები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ყოველი ეტაპის რეალურ პირობებს. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, რომელსაც, სავსებით გასაგებია, ვერავინ ვერც შეცვლის და ვერც გააუქმებს. ამიტომ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული მართვის სისტემის გაუმჯობესება ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების სრულყოფის ზოგადი პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ამჟამად მომწიფდა საკითხი, რომ შემუშავდეს მართვის მთელი მექანიზმის კომპლექსური სრულყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკას და გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათს.

ვფიქრობ, ასეთი პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს, რომ:

დაიხვეწოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა ყველა დონეზე და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, კერძოდ, ზუსტად განსაზღვროს მართვის ორგანოებისა და საწარმოების ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა, ორგანულად იქნეს შეხამებული სახელმწიფოსა და შრომითი კოლექტივების ინტერესები;

გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემა საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მოთხოვნების საფუძველზე;

გაძლიერდეს სამეურნეო მექანიზმის ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების მთელი ერთობლიობის ქმედითობა, მათ შორის, ფასწარმოქმნის, საკრედიტო-საფინანსო სისტემის, სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასების მეთოდებისა და ა. შ.

მართვის სისტემის გაუმჯობესების საკითხთა მხოლოდ კომპლექსური, ურთიერთდაკავშირებულ განხილვას შეუძლია გადაგვაწყვეტინოს იმ უპირატესობათა ყველაზე სრული გამოყენების ამოცანა, რომლებიც სოციალისტური წარმოების წესშია ჩაქსოვილი. ეს სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

ასეთი გახლავთ ზოგიერთი საკითხი, რომლებიც საჭიროდ ვცანი გამეშუქებინა. რა თქმა უნდა, ამ საკითხებით როდი ამოიწურება გადასაწყვეტი ეკონომიკური პრობლემების წრე, მით უმეტეს, რომ ცხოვრება ნიადაგ სვამს ახალ-ახალ პრობლემებს.

ჩვენი წარმატებანი გადამწყვეტწილად იქნება დამოკიდებული მასების დარაზმულობაზე, დაკისრებული საქმისადმი ადამიანთა შემოქმედებითს დამოკიდებულებაზე, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებაზე.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კადრების საგულდაგულო შერჩევას საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით, ნამდვილ წარმოების ორგანიზატორთა, ინიციატივიან, მარჯვე მუშაკთა აღზრდას. მათ მიმართ დამკვიდრებული კეთილმოსურნე დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად უნდა ეხამებოდეს მაღალ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას.

ყოველივე ეს პარტიული მუშაობის გადაუდებელი ამოცანებია.

ამჟამად პარტიაში მთავრდება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. გამართულმა კრებებმა და კონფერენციებმა ცხადყო პარტიის XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის სრულმბრიანი და ივნისის პლენუმების კურსის სრული მხარდაჭერა, დაადასტურა, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია ისწრაფვის გადაჭრით სრულყოს პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. ეს იმის საწინდრად მიგვაჩნია, რომ წარმატებით გადავწყვეტთ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ახალ ამოცანებს.

ამხანაგებო! დასასრულ მინდა გაგიზიაროთ აზრი იმ დიდი როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც პარტიისა და ხალხის წინაშე აკისრიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ამ დარბაზში მყოფ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ყველა მონაწილეს.

კოლექტიურად შემუშავებული ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით ჩვენ ფართა შეკასხით მშრომელებს, კარგი მუშაობისათვის მგზავნყვეთ ისინი და ამასთანავე დიდი მოლოდინი გამოვწვიეთ. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელი გვაქვს.

მილიონობით კომუნისტსა და უპარტიოს უსაზღვროდ სწამთ პარტიისა და მზად არიან მხარი დაუჭირონ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას ეკონომიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში. ეს ყოველ ჩვენგანს, უკლებლივ ყველას, უდიდეს პირად პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ჩვენც მოვალენი ვართ გავამართლოთ ხალხის ეს დიდი ნდობა.

რა უბანზეც უნდა მუშაობდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები და კანდიდატები, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები — მთავრობასა თუ სახალხო მეურნეობის დარგებში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებსა თუ მეცნიერებაში, კულტურის სფეროში თუ დიპლომატიურ ასპარეზზე, ყველას ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ პოლიტიკური ხელმძღვანელები ვართ და ყველაზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ პარტიისა და ხალხის ინტერესებს.

ვიყოთ ტონის მიმცემნი და ვაჩვენებდეთ მუშაობაში ღირსეულ პირად მაგალითს, ყოველ ღონეს ვხმარობდეთ ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის განვითარებისათვის, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ყველაფერში განუხრელად ვხელმძღვანელობდეთ მაღალი ლენინური პრინციპებით — აი, რა არის დღეს მთავარი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვიტალი ივანეს ძე ვოროტნიკოვი

ამხ. ვ. ი. ვოროტნიკოვი დაიბადა 1926 წელს, რუსია, სკკპ წევრია 1947 წლიდან.

შრომითი საქმიანობა 1942 წელს დაიწყო ზეინკლის შეგირდად ვორონეჟის ორთქლმავალშემკეთებელ ქარხანაში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ინჟინერ-ტექნიკურ თანამდებობაზე კუიბიშევის საავიაციო ქარხანაში. წარმოებას მოუწყვეტლივ დაამთავრა საავიაციო ინსტიტუტი.

1955 წლიდან პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა. იყო ქარხნის პარტკომის მდივანი, სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივანი, მეორე მდივანი, კუიბიშევის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

1971 წლიდან იყო სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ — რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

1979 წელს დაინიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კუბის რესპუბლიკაში, ხოლო 1982 წელს აირჩიეს სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

ვ. ი. ვოროტნიკოვი 1983 წლის ივნისიდან რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

არის სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მთელ რიგ მოწვეთა უმაღლესი საბჭოების დეპუტატი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი მიხეილ სერგის ძე სოლომენცევი

ამხ. მ. ს. სოლომენცევი დაიბადა 1913 წელს, რუსია, სკკპ წევრია 1940 წლიდან.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1930 წელს კოლმეურნეობაში. ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1940 წლიდან მუშაობდა ქ. ლიპეცკის სამრეწველო საწარმოებში, მერე კი ურალში. იყო ოსტატი, ცვლის უფროსი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ქარხანაში, მთავარი ინჟინერი, ხოლო 1949 წლიდან — ქ. ჩელიაბინსკის ქარხნის დირექტორი.

1954 წლიდან იყო სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, მეორე მდივანი, ჩელიაბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე. 1959 წლიდან მუშაობდა პარტიის ყარაღანდის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1966 წლიდან მ. ს. სოლომენცევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეა, 1971-1983 წლებში იყო რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე იგი დაამტკიცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

მ. ს. სოლომენცევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1961 წლიდან. 1971 წელს არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

არის ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მთელ რიგ მოწვეთა უმაღლესი საბჭოების დეპუტატი.

სსრ კავშირის მეათე მოწვევის

უმაღლესი საბჭოს მეცხრე

სესიის გახსნის შესახებ

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია გაიხსნება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1983 წლის 28 დეკემბერს დილის 10 სააზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში კრემლის დიდ სასახლეში.

მასობრივი ტირაჟით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის მოამზადა ქვეყნის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენისადმი მიძღვნილი წიგნები, ბროშურები, პლაკატები. მათ შორის არის „სსრ კავშირის კონსტიტუციის“, აგრეთვე „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის ახალი გამოცემები ქართულ ენაზე. მკითხველები მიიღებენ ამ ბროშურებს აგრეთვე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე — მომზე რესპუბლიკათა გამომცემლობებთან შეთანხმებით იქ გამოშვებული ბროშურების ტირაჟის ნაწილს ჩვენს რესპუბლიკაში გამოგზავნიან.

მკითხველები მიიღებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის პროფესორ ი. ჩიქავას წიგნს „საბჭოების როლის ამაღლება განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკურ სისტემაში“. გამომცემლობაში გამოსაშვებად ამზადებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ნორმატიული აქტების კრებულსაც.

პარტიული კომიტეტების პლენუმები

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მთავრდება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. გამართულია კრებებმა და კონფერენციებმა ცხადყო პარტიის XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის სრულმბრიანი და ივნისის პლენუმების კურსის სრული მხარდაჭერა, დაადასტურა, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია ისწრაფვის გადაჭრით სრულყოს პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. ეს იმის საწინდრად მიგვაჩნია, რომ წარმატებით გადავწყვეტთ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ახალ ამოცანებს.

ამხანაგებო! დასასრულ მინდა გაგიზიაროთ აზრი იმ დიდი როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც პარტიისა და ხალხის წინაშე აკისრიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ამ დარბაზში მყოფ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ყველა მონაწილეს.

კოლექტიურად შემუშავებული ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით ჩვენ ფართა შეკასხით მშრომელებს, კარგი მუშაობისათვის მგზავნყვეთ ისინი და ამასთანავე დიდი მოლოდინი გამოვწვიეთ. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელი გვაქვს.

მილიონობით კომუნისტსა და უპარტიოს უსაზღვროდ სწამთ პარტიისა და მზად არიან მხარი დაუჭირონ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას ეკონომიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში. ეს ყოველ ჩვენგანს, უკლებლივ ყველას, უდიდეს პირად პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ჩვენც მოვალენი ვართ გავამართლოთ ხალხის ეს დიდი ნდობა.

რა უბანზეც უნდა მუშაობდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები და კანდიდატები, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები — მთავრობასა თუ სახალხო მეურნეობის დარგებში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებსა თუ მეცნიერებაში, კულტურის სფეროში თუ დიპლომატიურ ასპარეზზე, ყველას ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ პოლიტიკური ხელმძღვანელები ვართ და ყველაზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ პარტიისა და ხალხის ინტერესებს.

ვიყოთ ტონის მიმცემნი და ვაჩვენებდეთ მუშაობაში ღირსეულ პირად მაგალითს, ყოველ ღონეს ვხმარობდეთ ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის განვითარებისათვის, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ყველაფერში განუხრელად ვხელმძღვანელობდეთ მაღალი ლენინური პრინციპებით — აი, რა არის დღეს მთავარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 24-ე, 25-ე და 28-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

№ 161 თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — გაჩეჩილაძე გივი სერგის ძე — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშაკის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ჩივაძე — ზურაბ დავითის ძე — თბილისის ლენინის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — თევდორაშვილი მედეა ნიკოლოზის ასული — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბიჩელაშვილი ნორა იორდანეს ასული — თბილისის ქარხანა „ელექტროზოლიტის“ მუშა-მოსამსახურეებისაგან;

კაპანაძე ნინო ქართლოსის ასული — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კომციანი მკრტიჩ მერუჟანის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ვორობიოვი დავით დავითის ძე — ლენინის სახელობის ავშალის შუშის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

კუკულავა ვაჟა ილიას ძე — — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

მუხიგულაშვილი თენგიზ ზაქარიას ძე — საწარმოო გაერთიანება „თბილლვინოს“ მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ნებიერიძე ნანული ელადიმერის ასული — თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებისაგან;

სარალიძე რუსუდან პავლეს ასული — თბილისის კამეოლური დართვის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ქალმახელიძე ლიანა მიხეილის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივისაგან;

ჯუჯანაშვილი დალი მიხეილის ასული — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ნერსესიანი სვეტლანა მოსეს ასული — თბილისის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშა-მოსამსახურეებისაგან;

შოშვილი ცარო შალვას ასული — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჩხაიძე მარინე ნიკოლოზის ასული — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის კიროვის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხატიაშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კიროვის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხუნძაყიშვილი სვეტლანა ზაალის ასული — თბილისის საფეიქრო სავალალტერიო ფაბრიკა „კომკავშირელის“ მუშა-მოსამსახურეებისაგან.

№ 162 თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ინასარიძე გივი ვარლამის ძე — თბილისის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ჩხაკაიშვილი ავთანდილ ტარიელის ძე — საქართველოს მწერალთა კავშირისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — რუხაძე გრიგოლ გრიგოლის ძე — თბილისის კიროვის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბარტნოვსკი ანდრია ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისაგან;

გაბედავა რუსუდან ივანეს ასული — თბილისის ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

დაუშვილი მაია არჩილის ასული — თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

დემურია ნაზი შოთას ასული — თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

კაზაკოვი პავლე მიხეილის ძე — თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელ მოწყობილობათა ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კალმახელიძე ლიანა მიხეილის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივისაგან;

ეგიაზარიანი სურენ ტიგრანის ძე — თბილისის შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის კოლექტივისაგან;

კელენჯერიძე ვარლამ გივის ძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კვიჟინაძე ნელი გიორგის ასული — თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლალაიანი ევეტა ლევანის ასული — თბილისის № 78 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ლაფერაშვილი გიული ილიას ასული — ქარხანა „თბილხელსაწყო“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მარიდაშვილი შალვა ალექსის ძე — თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაური ქარხნის „მიკროძრავის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მელიქიძე შოთა ვლადიმერის ძე — თბილისის № 2 სახლმშენებელი კომბინატის მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მიქაძე ნათელა შალვას ასული — არმაზის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

შიუკაშვილი ლიანა ლუკას ასული — თბილისის უქმოვადი რეზნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — კომტრიძე სიმონ ეგნატეს ძე — თბილისის კერამიკული კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გორბატკოვა ალა სერგოს ასული — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ეგიაზარიანი სურენ ტიგრანის ძე — თბილისის შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის კოლექტივისაგან;

კელენჯერიძე ვარლამ გივის ძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კვიჟინაძე ნელი გიორგის ასული — თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლალაიანი ევეტა ლევანის ასული — თბილისის № 78 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ლაფერაშვილი გიული ილიას ასული — ქარხანა „თბილხელსაწყო“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მარიდაშვილი შალვა ალექსის ძე — თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაური ქარხნის „მიკროძრავის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჯაჯვაძე ლამარა ნიკოლოზის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის 26 კომისრის რაიონული ორგანიზაციისაგან.

№ 164 თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — დათაშვილი აღექსანდრე იოსების ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ჩქარეული ირაკლი უასფოლის ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის აზაზგის რაიონული ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — ინაკოვსკაია ვიოლეტა მიხეილის ასული — თბილისის ოქტომბრის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ახიწვაშვილი გიორგი ვალერიანის ძე — თბილისის ექსპერიმენტული ავეჯის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვაშაკიძე ვერა ივანეს ასული — თბილისის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან;

თეთრუაშვილი გურამ იორდანეს ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის დუშეთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კოკოზაშვილი ჯულიეტა ალექსის ასული — თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მაისურაძე ქეთევან ვახტანგის ასული — თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მანუკიანი ლევან აზატის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქთამბაქოს“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მაშელაძე თინათინ ნიკოლოზის ასული — თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქღვინომანქანის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ნამორაძე ლალი სოლომონის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ოქტომბრის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხადაევა მარიამ მამედის ასული — ტანსაცმლის მოდელების რესპუბლიკური სახლის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

სენაშვილი იაგო ილიას ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

სეფიაშვილი ელმირა დავითის ასული — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჯანეზაშვილი ავთანდილ ვახტანგის ძე — თბილისის მეტროპოლიტენის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

№ 165 თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ხუციშვილი ილია ივანეს ძე — თბილისის საბურთალოს რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — გიორგაძე ბონდო დავითის ძე — თბილისის საინსტრუმენტო ქარხნ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

(გაგრძელება)

სტანიკოვა ნელი გიორგის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ქობულაძე დავით დავითის ძე — თბილისის კომბინატ „საქვაბრმონტაჟის“ მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ფორჩხიძე ზურაბ დავითის ძე — გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ № 13 ტრესტის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ხრენოვი პავლე ევგენის ძე — თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის თბილისის ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან.

№ 167 ამბროლაურის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ჩლაიძე ჯანიკო ლონგინოზის ძე — ამბროლაურის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — კოპალიანი რამაზ რაფიელის ძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — გვენცაძე ანზორ დიომიდეს ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბარსონიძე ოთარ დავითის ძე — ამბროლაურის რაიონის რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

გავრილეჩვა ლენა ვლადიმერის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან;

